პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 34 (5064)

17 თებერვალი, კვირა, 1974 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობა

13 თებერვალს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო გაიშალა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ენდელაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის თანაშემწე თ. ხარშილაძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ცუგბა, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ნიკოლაიშვილი, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ნაკაშიძე, თერჯოლის რაიონის სოფელ ახალი თერჯოლის ამბულატორიის გამგე დ. გაბუნია, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. კოტაევი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, კომკავშირის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი რ. მგდესიანი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი პ. მელნიკოვი, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. მხეიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, პროფესორი თ. ბუაჩიძე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი თ. კილაძე, სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრი რ. სიხარულიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი პ. მეძმარიაშვილი, თელავის რაიონის სოფელ ვანთის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე ზ. კირვალიძე, კომკავშირის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ბოჭორიძე, თბილისის № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. გურგენიძე.

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის კომკავშირის წარმომადგენლების — სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის რ. არზუმანიანისა და აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგის რ. მუსაბეკოვის გამოსვლებს. ისინი სომხეთისა და აზერბაიჯანის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების სახელით მხურვალედ, ძმურად მიესალმნენ საქართველოს კომკავშირლებსა და ახალგაზრდობას, უსურვეს მათ ახალი წარმატებანი მუშაობასა და სწავლაში. სომხეთისა და აზერბაიჯანის კომკავშირის წარმომადგენლებმა ყრილობას გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ჯ. ბერიძემ.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ ოქტომბრელები და პიონერები.

* * *

16 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს ალკკ XXX ყრილობა.

ქართველ კომკავშირელთა სახელოვან საქმეებზე ილაპარაკეს კომკავშირის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კახიანმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ნ. რუკავიშნიკოვმა, თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის რეჟისორმა გ. ქავთარაძემ, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. ორჯონიკიძემ, საგარეჯოს რაიონის სოფელ კოჭბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. სულიაურმა, ხომალდ „კრასნი კავკაზის" წარმომადგენელმა ვ. ფომინმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ე. ხარაძემ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ქ. კობალაძემ, კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა ნ. ბუთხუზმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მიქელაძემ.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები.

ყრილობამ მიიღო მოძმე რესპუბლიკების კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი დეპეშები, ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელების, ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომითი პატაკები ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს მუშაობის შესახებ.

* * *

გუშინ საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.



საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობა. ტრიბუნაზეა ყრილობის დელეგატი, სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრი რ. სიხარულიძე.

## ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

### „ლელო" ინტერვიუ
### ყრილობის დელეგატთან

# საგარეჯოელთა დევიზი: „ყველა კომკავშირელი — ფიზკულტურელი, ყველა ფიზკულტურელი — სწავლისა და შრომის მოწინავე!"

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ბიუროზე განსახილველად ხშირად გამოაქვს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხები. ამ რამდენიმე თვის წინათ ბიურომ საგარეჯოს რაიონის ფიზკულტურულ ცხოვრებაზე იმსჯელა. წარმატებებთან ერთად აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელთა სწრაფად გამოსწორება დღეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აქვთ დასახული რაიონის კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტ თ. გაჩეჩილაძეს ესაუბრა საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის დელეგატი, საგარეჯოს კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი გურამ ოსიყმიშვილი.

— ჩვენი რაიონის 76 ფიზკულტურულ კოლექტივში 4700-მდე ფიზკულტურელია გაერთიანებული. ერთი შეხედვით, ეს ცოტა როდია, მაგრამ ჩვენს შესაძლებლობებს მაინც არ შეესაბამება. გვინდა უფრო გავამდიდროთ რაიონის სახელოვანი სპორტული ტრადიციები. დღეს ყრილობის დელეგატთა შორისაა ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, რომელიც სწორედ ჩვენი რაიონიდან გავიდა დიდ სარბიელზე.

● **დღევანდელ ეტაპზე რა საკითხების მოგვარება მიგაჩნიათ უპირველეს ამოცანად?**

მთავარია სპორტი ყველა ახალგაზრდას შევაყვაროთ, ამისთვის კი სათანადო პირობების შექმნაა საჭირო. ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობაზე. მაგალითად, ახლახან კომკავშირის რაიონულ კონფერენციაზე აღვნიშნეთ, რომ სოფელ კაკაბეთის ორი კოლმეურნეობის, ბანდაურის, გომბორის, ივრის, ხაშმისა და უჯარმის საბჭოთა მეურნეობების თავკაცები ყურადღებას არ აქცევენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, არ ზრუნავენ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატის შექმნისთვის. ეს ნაკლოვანებები რომ არა, საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობას უფრო მაღალი მაჩვენებლებით შევხვდებოდით. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე მშდ კომპლექსის ნორმატივები მთლიანად ჩააბარა 2675 ახალგაზრდამ, მომზადდა სამი სპორტის ოსტატი და შვიდი ოსტატობის კანდიდატი.

არ გვაკმაყოფილებს „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს (თავმჯდომარე ი. ქვლივიძე) მუშაობა. იშვიათად ტარდება სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებები. რაიონში ჭადრაკის სათამაშო ოთახიც არა გვაქვს. ავარიულ მდგომარეობაშია სპორტული დარბაზი. რაიონს ერთი ტირი არ ჰყოფნის.

● **რა ვალდებულებები აიღეს რაიონის ახალგაზრდებმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით?**

— ჩვენი დევიზი ასეთია: ყველა კომკავშირელი — ფიზკულტურელი, ყველა ფიზკულტურელი — სწავლისა და შრომის მოწინავე. კომკავშირელები რაიონის ახალგაზრდობას მაგალითს აძლევენ ახალი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში. ამ ვალდებულებებში არც ფიზკულტურა და სპორტი გამოგვრჩენია. ახალგაზრდობამ ითავა ყველა რეზერვის ამოქმედება. რა თქმა უნდა, ამ საქმეში რაიონის ხელმძღვანელთა მხარდაჭერაც გვჭირდება. ჩვენთანაც ძალზე ჭირს ცურვის მასობრივად სწავლება, ამ სახეობაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ამიტომ პირველ ყოვლისა გადავწყვიტეთ რაიონის ცენტრში მდებარე საცურაო აუზის ამოქმედება. დარწმუნებული ვარ, რაიონის სახელოვანი ახალგაზრდობა ძალ-ღონეს არ დაზოგავს შრომასა და სპორტში ახალი წარმატებების მოპოვებისთვის.

# საორგანიზაციო კომიტეტმა იმსჯელა

მოსკოვი, 15 თებერვალი. გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. სმირნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III და ზაფხულის VI სპარტაკიადების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. მოსმენილ იქნა სპორტკომიტეტების თავმჯდომარეების — ნ. პიროჟკის (კარელიის საოლქო კომიტეტი), ნ. კუზნეცოვის (ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტი), ს. მალოვინის (მოსკოვის საქალაქო კომიტეტი) მოხსენებები ფიზკულტურის კოლექტივებში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მასობრივ ასპარეზობათა შესახებ. აღინიშნა, რომ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს ამ დიდი ღონისძიებისთვის მოსამზადებლად და ასპარეზობის ჩასატარებლად. გაიმართა ბევრი შეჯიბრება ზამთრის სახეობებში, რომლებშიც მილიონობით კაცი მონაწილეობდა.

საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა, აგრეთვე, სპარტაკიადებისთვის სპორტულ ნაგებობათა, მსაჯთა კოლეგიის, სამედიცინო და ტექნიკური სამსახურების მზადყოფნის საკითხი.

# „ბაკურიანი — 74": სწორება დროშაზე!




სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადამდე, რომელიც ბაკურიანში გაიმართება, ორი კვირა დარჩა. იგი დაიწყება 7 მარტს, მანამდე კი სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას ხელმძღვანელობით, რომელიც 14 თებერვალს შეიკრიბა ბაკურიანში საბოლოო სხდომაზე, კიდევ აზუსტებდა სეზონის ამ მთავარი სპორტული დღესასწაულის დეტალებს.

— მომავალი სპარტაკიადის სპორტული ნაგებობანი — ტრამპლინები, საციგაო და სამთო-სათხილამურო ტრასები — მზადაა სპარტაკიადისთვის, — აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა, — თუმცა ჯერჯერობით საციგაო ტრასა გაყინული არ არის და მაყურებელთა ადგილებიც გასაწმენდია. ბაკურიანელ ხელმარჯვეთა მიერ აშენებული ეს ტრასა, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. მომავალში ამ ტრასაზე გაიმართება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებანი.

ზოგიერთი ხარვეზი გამოვლინდა ტრამპლინების საბაგირო გზაზე, მაგრამ მალე ესეც გამოსწორდება. საერთოდ, ბაკურიანის საბაგირო გზების შემქმნელებმა — „საკმრეწვმექანიზაციის" თბილისის საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილებისა და „კავკასელექტროქსელმშენის" ტრესტის სპეციალისტებმა — ხარისხიანად მოკლე დროში დააპროექტეს და ზამთრის ძნელ პირობებში ააშენეს ეს საჰაერო ტრასები.

ახლა ექსპლოატაციის მუშაკების ჯერია, რომლებსაც გადაეცათ ეს დიდი მეურნეობა. სხდომის მონაწილეებმა მიზანშეწონილად ცნეს შეიქმნას სპორტულ ნაგებობათა ექსპლოატაციის დირექცია რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ხელმძღვანელების მეთაურობით. დირექციას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ კომპლექსის ყველა სისტემის, მისი თითოეული რგოლის ზუსტი ფუნქციონირებისთვის.

საერთოდ, რესპუბლიკური სპორტული კომიტეტის ფუნქციები ახლა მნიშვნელოვნად რთულდება. იგი უნდა გახდეს სპარტაკიადაზე მთელი მრავალფეროვანი საქმიანობის მაკოორდინებელი საბრძოლო შტაბი.

(დასასრული მე-2 გვ.).

# „ბაკურიანი-74“: სწორება დროშაზე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

სპარტაკიადა სტუმრად ელის 1800-ზე მეტ კაცს. მათ დაბინავებენ ექვს სპორტულ ბაზასა და სასტუმროში. გეოლოგთა ბანაკის გარდა, რომელიც, რესპუბლიკის გეოლოგიური სამმართველოს ხელმძღვანელთა დაპირებისამებრ, პირველ მარტს ჩადგება მწყობრში, ყველა ბაზა მზადაა მიიღოს სპარტაკიადის მონაწილენი და სტუმრები.

მაგრამ არ კმარა მათი მხოლოდ დაბინავება. აქ უნდა სუფევდეს კეთილმოსურნეობის, გულისხმიერების ატმოსფერო, რაც უნდა ვლინდებოდეს როგორც შეჯიბრების სანიმუშოდ მოწყობაში, ისე სრულფასოვან დასვენებაში. შემთხვევით როდი იყო, რომ საორგანიზაციო კომიტეტის საბოლოო სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ყველა რესპუბლიკური სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული არიან სპარტაკიადასთან: მშენებლობის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და საავტომობილო გზების, სხვა უწყებათა წარმომადგენლები. ყველას მიცემული აქვს გარკვეული დავალება. მაგალითად, კავშირგაბმულობის სამინისტრო პირდაპირ არხებს ხსნის სვერდლოვსკთან, სადაც აგრეთვე იმართება შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადის პროგრამით, მოსკოვთან, თბილისთან და სხვა ქალაქებთან. ორასზე მეტი ჟურნალისტი და ტექნიკური სამსახურების მუშაკი, შეჯიბრების მონაწილეთა გარდა, ისარგებლებს ამ სამინისტროს მომსახურებით.

საავტომობილო გზების სამინისტრო პასუხს აგებს ბორჯომ-ბაკურიანის ტრასის მდგომარეობისთვის, რომელიც ჯერჯერობით არცთუ სახარბიელოა. მაგრამ ტრასის შეკეთება (სამუშაოები კი აქ უახლოეს დღეებში დამთავრდება) ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. ტრასა ძლიერ თოვაშიც კი არ უნდა დაიხუროს არც ერთი საათით, გარანტირებული უნდა იყოს მოძრაობის სრული უსაფრთხოება. ყოველ 15 წუთში ბაკურიანის მიმართულებით და უკან ივლიან სამარშრუტო ავტობუსები. უნდა აღინიშნოს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო პირობას დებს, რომ მოაწყობს ავტობუსების მიმოსვლას დაბაშიც.

ეჭვი არ არის, რომ სპარტაკიადა უდიდეს ინტერესს გამოიწვევს, რესპუბლიკის ათასობით მცხოვრები მოისურვებს გახდეს ამ თვალწარმტაცი სპორტული დღესასწაულის მოწმე. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ უნდა იზრუნოს ავტოსადგომებზე, გამქირავებელ პუნქტებზე.

დიდ პროგრამას ამზადებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი. ბაკურიანის საღამოები, დასვენების საათები, რომლებიც აქამდე არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით, მთლიანად დამოკიდებულია ამ უწყებებზე, მათს ინიციატივასა და ფანტაზიაზე.

სპარტაკიადის შტაბი, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგეს რესპუბლიკური სპორტკომიტეტი, ვალდებულია კომპლექსურად გადაჭრას ეს საკითხები, დარაზმოს და წარმართოს ყველა დაინტერესებული უწყება, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ყოველგვარი შეფერხება.

როგორც სხდომაზე სამართლიანად აღნიშნეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგემ ე. სეხნიაშვილმა, სპარტაკიადა — ეს მარტო ქვეყნის სპორტული დღესასწაული როდია. ეს არის იმ დიდი მეგობრობის გამოვლინებაც, რომელსაც ქართველი ხალხი გრძნობს სსრ კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებისადმი, ეს არის ტრადიციული სტუმართმოყვარეობის გამოვლინება, რომლითაც განთქმულია ჩვენი რესპუბლიკა.

(საქინფორმი).

# საქართველოს რეკორდები

სროლა

1974 წლის 17 თებერვლისთვის

## ქალები

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| მცირეკალიბრიანი შაშხანა | | | |
| სტანდარტი 3×20 | 574 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1967 |
| | 1682 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| დგომელა 20 გასრ. | 188 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1968 |
| ჩოქელა 20 გასრ. | 195 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1967 |
| წოლელა 20 გასრ. | 200 | ლ. ჟურული (თბილისი, ასკ) | 1968 |
| წოლელა 60 გასრ. | 593 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1968 |
| | 1765 | „დინამოს“ ნაკრები | 1965 |
| პნევმატური შაშხანა | | | |
| 40 გასრ. | 370 | ა. ალიხანოვა (სოხუმი, „დინამო“) | 1973 |
| მცირეკალიბრიანი პისტოლეტი | | | |
| შავ სამიზნეებზე 30 გასრ. | 275 | ტ. კობოსნიძე (ქუთაისი, გან. განყ.) | 1964 |
| | 785 | საქართველოს ნაკრები | 1968 |
| შავ სამიზნეებზე 30+30 გასრ. | 588 | ო. კუდრიავცევა (თბილისი, ასკ) | 1970 |
| | 1706 | საქართველოს ნაკრები | 1966 |
| 5 სილუეტზე სროლა | 588 | ო. კუდრიავცევა (თბილისი, ასკ) | 1970 |
| | 1700 | საქართველოს ნაკრები | 1970 |
| 20+20+20 გასრ. | 561 | ო. კუდრიავცევა (თბილისი, ასკ) | 1971 |
| პნევმატური პისტოლეტი | | | |
| 40 გასრ. | 380 | ტ. უაზარიანი (თბილისი, ასკ) | 1974 |

## ვაჟები

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| არმიული შაშხანა | | | |
| სტანდარტი 3×20 | 564 | ლ. ოსტრიკოვი (თბილისი, „დინამო“) | 1972 |
| | 2159 | საქართველოს ნაკრები | 1970 |
| ნებისმიერი შაშხანა | | | |
| „გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასრ. | 241 | გ. თავდიდიშვილი (თბ., ასკ) | 1973 |
| | 900 | საქართველოს ნაკრები | 1971 |
| „გაქცეულ ირემზე“ 25 ორმაგი გასრ. | 241 | გ. თავდიდიშვილი (თბ., ასკ) | 1973 |
| | 871 | საქართველოს ნაკრები | 1968 |
| სტანდარტი 3×20 | 576 | ე. აბაჯიანი (თბილისი, „განთიადი“) | 1968 |
| სტანდარტი 3×40 | 1157 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1968 |
| | 4564 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 40 გასრ. | 398 | ვ. ახალაძე (ქუთაისი) | 1967 |
| ჩოქელა 40 გასრ. | 394 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| დგომელა 40 გასრ. | 371 | ა. ხტროევი (სოხუმი, „დინამო“) | 1966 |
| მცირეკალიბრიანი შაშხანა | | | |
| სტანდარტი 3×20 | 573 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1960 |
| | 2230 | „დინამოს“ ნაკრები | 1969 |
| სტანდარტი 3×40 | 1154 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| | 4556 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 40 გასრ. | 399 | ვ. სკრინიკოვი (თბ., „ბურევესტნიკი“) | 1972 |
| | 1515 | დოსააფის ნაკრები | 1972 |
| ჩოქელა 40 გასრ. | 394 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| | 1525 | „დინამოს“ ნაკრები | 1967 |
| დგომელა 40 გასრ. | 374 | რ. ანანიკიანი (თბილისი, „დინამო“) | 1962 |
| | 1445 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 60 გასრ. | 599 | ე. აბაჯიანი (თბილისი, „განთიადი“) | 1973 |
| პნევმატური შაშხანა | | | |
| 40 გასროლა | 384 | ე. აბაჯიანი (თბილისი, „განთიადი“) | 1973 |
| „გაქცეული ტახზე“ 20+20 გასრ. | 382 | გ. თავდიდიშვილი (თბილისი, ასკ) | 1973 |
| | 1441 | საქართველოს ნაკრები | 1971 |
| „გაქცეულ ტახზე“ 30+30 გასრ. | 560 | გ. თავდიდიშვილი (თბ., „დინამო“) | 1972 |
| მცირეკალიბრიანი პისტოლეტი | | | |
| შავ სამიზნეებზე 60 გასროლა | 570 | ვ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ) | 1966 |
| | 2209 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| სილუეტებზე 60 გასრ. | 590 | კ. ფოტიევი (თბილისი, „დინამო“) | 1960 |
| | 2344 | საქართველოს ნაკრები | 1970 |
| 20+20+20 გასრ. | 570 | ვ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ) | 1973 |
| პნევმატური პისტოლეტი | | | |
| 40 გასრ. | 387 | ვ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ) | 1973 |
| | 1500 | ასკ-ს ნაკრები | 1973 |
| რევოლვერ-პისტოლეტი | | | |
| 60 გასრ. | 592 | ვ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ) | 1964 |
| | 2319 | საქართველოს ნაკრები | 1964 |



# გიგანტი თუ „ქონდრისკაცი“?

ძიუდოისტთა V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენელი პრიზიორი გახდა. ეს უდავოდ დიდი წარმატებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ტურნირის სტარტზე გათამაშდა მედლების კომპლექტი მხოლოდ ორ წონაში — ქვემძიმესა და მძიმეში.

ჩვენი თანამემამულეების წარმატება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქვემძიმე წონაში. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური მხოლოდ მათ ეკავათ. I ადგილი დაიკავა თბილისელმა ა. მუზაევმა, რომელმაც ფინალურ ბრძოლაში მინიმალური უპირატესობით (ერთი შენიშვნით) მოუგო გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს თ. ხუბულურს. III ადგილზე გავიდნენ ზ. ბახტაძე და გ. ბაგაშვილი.

ამ წონაში სხვა თხუთმეტ ათლეტს შორის იბრძოდა იაპონელი ე. სიგემაცუ, რომელსაც თავდაპირველად ყველა ფავორიტთა შორის ასახელებდა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან სუსტი ან მოუმზადებელი იაპონელი ძიუდოისტთა ასპარეზობაში არასდროს გვინახავს. მაგრამ პირველივე ბრძოლებმა ცხადყო, რომ სიგემაცუ ვერ იდგა თავის სახელოვან თანაგუნდელთა დონეზე. ახალგაზრდა იაპონელმა — თავის ქვეყნის სტუდენტთა ჩემპიონმა — სუსტად ჩაატარა შეხვედრა პოლონელ ზ. ბელიავსკისთან და დამარცხდა. წაგებას შემდეგ ვერც ბელიავსკი გადაურჩა. მან გზა დაუთმო ხუბულურს, რომელმაც ამ გამარჯვების წყალობით ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა.

დამაჯერებლად გაიკვლია გზა ფინალისკენ ა. მუზაევმაც, რომელმაც წმინდად დაამარცხა ჯერ ბულგარელი ვ. ათანასოვი, მერე — ფრანგი ჟ. დე შერაში. ნახევარფინალში მუზაევის მეტოქე იყო ზ. ბახტაძე, რომელმაც თავის მხრივ ჯერ რუმინელ რ. ბოშკოს დააყრევინა ფარ-ხმალი, მერე კი გამოცდილ ავსტრიელ ე. აელიგტს. მუზაევისა და ბახტაძის ბრძოლა მხოლოდ 1 წუთსა და 40 წამს გაგრძელდა. ბახტაძემ თავი დამარცხებულად ცნო.

მძიმე წონაში ტურნირის მთავარი ჯილდო იაპონელ ხ. უემურას ერგო. უემურა საკმაოდ გამოცდილი ძიუდოისტია. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში მან ვერცხლის მედალი მიიღო აბსოლუტურ შეჯიბრებაში წარმატებისთვის. მაგრამ უემურას ფიზიკური მონაცემები, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად, არ შეეფარდება მის ტიტულებს. იაპონელი არც ისე ტანმაღალია (172 სმ), იწონის მხოლოდ 100 კილოგრამს. არადა, ამ წონაში მასზე გაცილებით წარმოსადეგი ათლეტები ასპარეზობდნენ. რომ არაფერი ვთქვათ ევროპის ჩემპიონ ს. ნოვიკოვზე, სსრ კავშირის ნაკრების წევრ ჯ. ნიჟარაძეზე და სხვა გამოცდილ ათლეტებზე, მძიმე წონაში ასპარეზობდა ფხენიანელი გიგანტი პაკ ჩო კირი. თბილისელები კარგად იცნობენ ამ ორმეტრიან და 150-კილოგრამიან ძიუდოისტს. იგი სხვა დროსაც გამოსულა ჩვენს საერთაშორისო ტურნირში.

ასე რომ, უემურას შანსები, ერთი შეხედვით, არც ისე სახარბიელო ჩანდა. მაგრამ იაპონელმა ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა ბრძოლა, მათ შორის ფხენიანელ გიგანტთანაც, ბოლოს კი ს. ნოვიკოვსაც მოუგო და მთავარი ჯილდო დაიმსახურა.

ნიჟარაძეს II ადგილი ერგო. იგი ნახევარფინალში დამარცხდა ს. ნოვიკოვთან. მართალია, თბილისელმა ძიუდოისტმა მოიგო დამატებითი ბრძოლა გ. კომოძინსკისთან (გფრ), მაგრამ, ახალი წესების თანახმად, ფინალში ბრძოლის უფლება მას აღარ ჰქონდა.

* * *

სურათებზე: ზევით — ქვემძიმე წონის მოჭიდავეები საპატიო კვარცხლბეკზე (მარცხნიდან): თ. ხუბულური, ა. მუზაევი, ზ. ბახტაძე და მ. ბაგაშელი. პრიზიორებს ჯილდოებს გადასცემენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ქიბროწაშვილი და ა. კაკნაძე; ქვევით — მძიმეწონოსანთა ფინალური ბრძოლის მომენტი: ხ. უემურა (მარცხნივ) და ს. ნოვიკოვი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



# შახმურადოვი: რას ემყარება უმცირესობის პოზიცია?

ჩვენ გვიყვარს შახი, როგორც მეგობრები ეძახიან საქვეყნოდ განთქმულ მახაჩყალელ ფალავანს იური შახმურადოვს. შახი ახლა უფრო შეგვიყვარდა, ვინაიდან იგი... ჩვენი მოჭიდავეების უშუალო მეტოქე აღარაა. ამ სარბიელზე მის ნაცვლად მოვიდნენ სხვები, რომლებსაც აღზრდა და დაოსტატება ესაჭიროებათ, შახმურადოვზე კარგი მწვრთნელი კი ძნელი წარმოსადგენია იშვიათი პედაგოგიური თვისებების, პირადი კულტურისა და თანდაყოლილი ანალიტიკური გონების გამო. მაშ ასე, შახმურადოვმა დატოვა სარბიელი, რათა ... ისევ სარბიელს დაბრუნებოდა.

მართალი გითხრათ, წერილის შესავალი აქ მინდოდა დამემთავრებინა, მაგრამ ცთუნება ერთობ დიდია და მიჭირს ორიოდე სიტყვით არ შეგახსენოთ შახმურადოვ-სალარაძის „უცნაური" მეგობრობა-მეტოქეობა. ახლა ისინი ერთმანეთისთვის სასურველი სტუმარ-მასპინძლები არიან. თუმცა ეს მეგობრობა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ, გაფთრებული მეტოქეობის დროს ჩაისახა. არ შეგიმჩნევიათ, როცა ერთი ძლევამოსილი სპორტსმენი გამოჩნდება სარბიელზე, მისი წინამორბედი, წარსულში არანაკლები ათლეტი მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ჩრდილში დგება და ასპარეზს ახალმოსულს უთმობს? ეს არ ითქმის სალარაძე-შახმურადოვის დრამატიზმით აღსავსე ურთიერთპაექრობაზე, რომელიც მრავალი წელი იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას. მეტოქეებმა ძვრაც ვერ უყვეს ერთმანეთს. იდგა საჭიდაო ოლიმპზე ორი მოჭიდავე და ფიქრადაც არ მოსდიოდათ ერთი გოჯი მაინც დაეთმოთ თავიანთ „საუფლოწელოში". მართალია, მეტწილად გამარჯვება გურამის მხარეზე იყო, მაგრამ შახს პირველობისთვის ბრძოლაზე ბოლომდე ვერ აიღებინა ხელი. ერთი სიტყვით, სალარაძესთან მრავალწლიან პაექრობაში შახმა საუცხოოდ შეისწავლა არა მარტო ქართველი ფალავანი, არამედ საერთოდ თავისუფალი ჭიდაობის ქართული სკოლა მისი თავისებურებებით. ამიტომ, როცა შახმურადოვი ქართველ მოჭიდავეებზე ლაპარაკობს, შეგვიძლიათ უყოყმანოდ ენდოთ მის აზრს. მას მშვენივრად ესმის ჩვენი მოჭიდავეებისა და ჭიდაობის ქართული სკოლის თაყვანისმცემელიც გახლავთ.

როცა შახმურადოვს (ცნობისთვის: იგი საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია) საუბარი ჩამოვუგდეთ საქართველოს მოჭიდავეთა საჭირბოროტო პრობლემებზე, აღმოჩნდა, რომ იგი საკმაოდ ინფორმირებულია ჩვენი ჭიდაობის „წყალქვეშა" პროცესებზე. რატომ?

შახმურადოვი: — ჭიდაობის ქართული სკოლა მრავალი წლის მანძილზე მთელს საბჭოეთში აღიარებულ ცენტრად ითვლებოდა. ეს მდიდარი ტრადიციები თქვენს მოჭიდავეებს დღემდე არ დაუკარგავთ. ჩვენ, საკავშირო ნაკრების მწვრთნელები, საქართველოს ახლაც მივიჩნევთ ჭიდაობის ტალანტების თავისებურ ელდორადოდ. ამიტომ ბუნებრივია, ის დიდი ინტერესები, რომელსაც ჩვენ ვიჩენთ ქართული ჭიდაობის საჭირბოროტო პრობლემების მიმართ. სწორად გამიგეთ, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წარმატება თუ წარუმატებლობა დიდად მოქმედებს ნაკრების საერთო დონეზე. აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ თქვენი ფალავნები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეთა ადგილების განლაგებაში. საერთაშორისო ტურნირები, სამატჩო შეხვედრები, ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიო პირველობა, ოლიმპიური თამაშები — აი, ის დიდი და საპატიო ტვირთი, რომელსაც ღირსეულად ატარებდნენ თავიანთი მხრებით ქართველი ფალავნები ჯერ კიდევ ჩემ თაობამდე. საქართველო დღემდე რჩება ნიჭიერ ფალავანთა სამშობლოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო ხანს ქართველმა მოჭიდავეებმა ერთგვარად დათმეს ადრე მოპოვებული პოზიციები. ჯერ კიდევ ამ ტენდენციას „სკანდალური" ხასიათი არ მიუღია, ვინაიდან სპორტული საზოგადოებრიობა ინერციით კვლავ მაღლა აყენებს თქვენი რესპუბლიკის საჭიდაო სკოლის ღირსებას. მაგრამ თუ გულზე ხელს დავიდებთ, მეგობრული „მოურიდებლობით" შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენი თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიო დონეზე დღეს მხოლოდ ლევან თედიაშვილით არის წარმოდგენილი. თბილისში ყოფნისას შევხვდი ერთ აქაურ ნაცნობ ჟურნალისტს. დიდი ხანია არ გვენახა ერთმანეთი და სალაპარაკო ბლომად დაგვიგროვდა. ვილაპარაკეთ აქეთურ-იქითურზე და საუბარი ბოლოს მაინც ჭიდაობაზე მიდგა. აღმოჩნდა, რომ ჩემი თანამოსაუბრე, რომელიც საკმაოდ კარგად არის ჩახედული ჭიდაობაში, ერთობ ოპტიმისტურად აფასებს თავის მოჭიდავეთა შესაძლებლობებს. ეს კი „არა, აქეთ შემომიტია, „უსამართლოდ" რად გვექცევით, თედიაშვილის გარდა ნაკრებში რატომ არავინ შეგყავთო? დალოცვილო, ვუთხარი, როგორ ფიქრობ, მიყვარს თუ არა ქართული ჭიდაობა-მეთქი? დიახ, ვიცი და ამიტომ უფრო მიკვირსო. კარგი, წარმოიდგინე, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი შახმურადოვი არ არის და შენ დაგნიშნეს, გულახდილად მითხარი, ვის შეიყვან სსრ კავშირის ნაკრებში ქართველ ფალავნებიდან-მეთქი. ამ „კონტრკითხვამ" ოდნავ გაანელა მისი ენთუზიაზმი. მცირეოდენი ფიქრის შემდეგ მიპასუხა, უყოყმანოდ ავიყვანდი მოდებაძესო. მეტს არავის? — ჩავეკითხე. მან ყოყმანი დაიწყო. ვიგრძენი, ჩემი თანამოსაუბრე „ჩაიჭრა".

მე ჩავერიე საუბარში, რომელსაც არ შევსწრებივარ და შახმურადოვის გადმოცემით გავიგე მისი შინაარსი. ნუ დაგავიწყდებათ, შახს საუბარი მაშინ შევაწყვეტინე, როცა მოდებაძეზე დაიწყო ლაპარაკი. იური, — ვუთხარი, — ორიოდე თვის წინ „ლელოში" დაიბეჭდა გურამ სალარაძის ვრცელი წერილი. იგი გამოთქვამდა დაახლოებით იმავე აზრს, რომელიც თანამოსაუბრესთან გითქვამს (აქ დაწვრილებით მოვუყევი გ. სალარაძის წერილის შინაარსი). რეაქცია ერთგვაროვანი არ ყოფილა. უმრავლესობა, მათ შორის, სპორტსმენები და მწვრთნელები სალარაძის პოზიციას მიემხრნენ. უმცირესობამ არ გაიზიარა წერილში გამოთქმული მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შენიშვნები ქართველ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

შახმურადოვი: ქართული ჭიდაობის ავ-კარგი ჩვენთვის, ნაკრების მწვრთნელებისთვის, როგორც უკვე მოგახსენეთ, ერთობ მტკივნეული საკითხია. უმცირესობა, თუმცა, არ ვიცი რას ემყარება მისი პოზიცია, ჩემს ნაცნობ ჟურნალისტს ჰგვანებია. ვერ დავიჯერებ, რომ ისინი თვალნათლივ არ ხედავდნენ თქვენი მოჭიდავეების ერთგვარ დაქვეითებას. შეიძლება მათი ოპტიმიზმი ემყარება ნორჩ და მოზარდ საჭიდაო ტალანტებს, რომლებიც საქართველოში იზრდებიან. ამას ვინ უარყოფს? ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არა მომავალ თაობაზე, როგორი ნიჭიერიც უნდა იყოს იგი, არამედ „ვარსკვლავებთან მოთამაშე" ახლანდელ ფალავნებზე. ახლა კი კონკრეტულად იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც თქვენი მოჭიდავეების ჩამორჩენის მიზეზთა მიზეზია: თანამედროვე ჭიდაობაში სათანადო ფიზიკური მომზადების გარეშე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც კი გულუბრყვილობა იქნებოდა. ავიღოთ თუნდაც თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. დააკვირდით თუ არა ერთ მომენტს: ჩინებულად იწყებს თითქმის ყველა ქართველი მოჭიდავე ბრძოლას, პირდაპირ ტკბები მათი ოსტატობით, შეუპოვრობით, მახვილგონივრულობით. მაგრამ ჭიდაობას აქვს, საჭადრაკო ენით რომ ვთქვათ, არა მარტო დებიუტი, არამედ შუა თამაში და ენდშპილი. და აი, ენდშპილში თქვენს მოჭიდავეებს უცილოდ არ ჰყოფნით ფიზიკური გამძლეობა. ისინი წარმოუდგენლად იცვლებიან თვალსა და ხელს შუა და ხშირად მოგებულ შეხვედრებს უსახელოდ ამთავრებენ. საწყენი კია, ვინაიდან მათ არავიზე ნაკლები ჭიდაობა არ იციან. პირიქით, უმეტეს კომპონენტებში მეტოქეებზე მაღლა დგანან, მაგრამ ფიზიკურ მომზადებაში მოიკოჭლებენ. ახლა დავაკვირდეთ იმავე ტურნირში მონაწილე ამერიკელებს: აგებენ, იგებენ, მეტოქეებს ჩამორჩებიან ჭიდაობის ცოდნაში, თუ არ ჩამორჩებიან — ამას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პირველიდან ბოლო წუთამდე ამერიკელები გამუდმებით ესწრაფვიან გამარჯვებას, რაც უპირველეს ყოვლისა საუკეთესო ფიზიკურ მომზადებაზეა დაფუძნებული...

ცუდად ნუ გამიგებთ და ემპირიულ ანალიზს ნუ დამწამებთ, აქაოდა, ჩვენი მოჭიდავეების მხოლოდ ერთი ნაკლი შეამჩნიეო. კიდევ ბევრი შეგვეძლო გვეთქვა ნაკლოვანებებზე, მაგრამ საამისოდ მთელი გაზეთიც არ გვეყოფოდა. ისე კი, მივესალმები სერიოზულ პოლემიკას, თუ კი იგი ჩვენი ჭიდაობის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება. ამ მხრივ თქვენ ბევრი გაქვთ სათქმელი და გასაკეთებელი.

კიდევ ერთი, რაც სისხლხორცეულად უკავშირდება ჭიდაობის შემდგომი განვითარების საქმეს. მხედველობაში მყავანან მწვრთნელები, აღმზრდელები, პედაგოგები. მე განზრახ დავანაწევრე ცნება „მწვრთნელი", ვინაიდან მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა, ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაიზარდა. მადლობა მწვრთნელთა ძველ თაობას, მისი დიდი ნაწილი კვლავ დაუფასებელ სამსახურს უწევს ჩვენს ჭიდაობას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, ეგრეთ წოდებულ წამყვან მწვრთნელთა კვალიფიკაცია ერთ ადგილზე გაიყინა, რაც აშკარა უკან დახევას ნიშნავს. მწვრთნელი წინ უნდა მიდიოდეს, თან უნდა მიჰყავდეს აღსაზრდელთა დიდი რაზმი, რომ მათგან ყველაზე ღირსეულებს უმაღლესი ტიტულებისთვის ბრძოლის უნარი შესწევდეს. მწვრთნელი ლეიბის შუაგულში უნდა ტრიალებდეს, მისთვის ჭიდაობაში არავითარი ამოცანა არ უნდა არსებობდეს. ჭიდაობა დღესდღეობით მრავალ ამოცანას აყენებს ჩვენს წინაშე. წვრთნის მოძველებული მეთოდებით, რაგინდ აპრობირებულიც უნდა იყოს იგი წარსულში, შორს ვერ წავალთ.

### ინტერვიუ

*— თქვენ მოდებაძეზე საუბრობდით და აზრი არ დაგიმთავრებიათ, გარდა ამისა, რას იტყოდით სხვა ქართველ მოჭიდავეებზე?*

შახმურადოვი: მოდებაძეს სამართლიანად მივიჩნევდით მედვედის მემკვიდრედ. მისგან საჭიდაო სამყარო ბევრს მოელოდა. ნოდარი შევიყვანეთ საკავშირო ნაკრებში, ევროპის პირველობაშიც მიიღო მონაწილეობა და ოქროს მედალი მოიპოვა. მაგრამ მინდა გითხრათ ამ მედლის მეორე მხარეზე. გულახდილად თუ ვიტყვით, ჩემპიონობა ზოგჯერ არ არის დამაჯერებელი. ასე იყო, სამწუხაროდ, ამჯერადაც. იგი ღირსი იყო ოქროს მედლისა და მოიპოვა კიდეც, მაგრამ მეტოქენი აშკარად ვერ დაჯაბნა. შემდეგ ჩვენს ჭიდაობაში გამოჩნდა ნოდარის ახალი მეტოქე — ანდიევი, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატში მას გადაუსწრო. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, თითქოს ერთი აშკარად სჯობდეს მეორეს. ორივე თანაბარძალოვან ფალავნად მესახება. მაგრამ ანდიევმა აჯობა მოდებაძეს არა ნიჭით, არამედ შრომისმოყვარეობით, შეუპოვრობით, მეცადინეობით. აი, როცა ნოდარიც ისეთივე დაუზარებელი და მშრომელი სპორტსმენი გახდება, როგორც ანდიევი, მაშინ უკვე სხვა საუბარი გვექნება. ასე რომ მოდებაძე-ანდიევის პაექრობა ჯერ არ დამთავრებულა.

თბილისის ტურნირის აღმოჩენა იყო ნიკურაძე, იგი გაბედული, უშიშარი, ტექნიკური მოჭიდავეა. მის წონაში გვყავს ოლიმპიური ჩემპიონი იარიგინი, ბოლო დროს კი იარიგინის ჭიდაობა გაუფერულდა. ნიკურაძემ დიდი იმედი ჩაგვისახა. ძალიან გამეხარდა, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სარბიელს უნიჭიერესი ფალავანი რომან მარსაგიშვილი.

საუბარი ჩაიწერა
ა. გოგელიამ.

## ახალი „რეკორდი"

როგორც ცნობილია, 10 თებერვალს მოსკოვში ჩატარდა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი სამმა კაცმა გამოიცნო (კრასნოიარსკში, დუშანბესა და ლვოვში). თითოეული 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1415 მანეთია, ოთხისთვის — 40, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2929 მანეთია, ოთხისთვის — 49, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა შემნახველ სალაროებში 21 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით.

* * *

ბოლოსწინა ტირაჟი უჩვეულოდ იღბლიანი აღმოჩნდა ჩვენი თანამემამულეებისთვის. გამოვლინდა ამ საინტერესო თამაშის ახალი რეკორდსმენი. ესაა თბილისელი დ. ხურიევი, რომელმაც იღბლიანად შეავსო „სპორტლოტო-2"-ის სამი ბილეთი და თითოეულით 4022 მანეთი მოიგო. საერთო ჯამში მას 12066 მანეთი ხვდა!

ამავე ტირაჟში ბედმა გაუღიმათ თბილისელებს დ. სირაძეს და რ. შაქელაშვილს. თითოეულმა 2764 მანეთი მოიგო.

ტუბერკულოზის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. კიკვიძე დიდი მოყვარულია სპორტისა და... სპორტული ლატარიისა. ამავე ტირაჟში მან, როგორც ყოველთვის, „სპორტლოტოს" რამდენიმე ბილეთი შეავსო და ერთ-ერთით 2764 მანეთი მოიგო. შემდეგ მან თქვა: „მე ძალიან მიყვარს ჰადრაკი. ბილეთების შევსების დროს მხედრის სვლა გამოვიყენე. ამასთან, გადავხაზე ციფრი 48, რომლითაც ჩემი საყვარელი სახეობა — ჭადრაკი იყო აღნიშნული".

## დაზვერვა ბრძოლით

მოსკოვში, ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში, დამთავრდა სსრ კავშირის მძლეოსანთა ზამთრის ღია ჩემპიონატი, რომელშიც ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, ფინეთისა და იაპონიის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. საბჭოთა მძლეოსნებისთვის ეს ასპარეზობა ამავე დროს იყო ძალთა დათვალიერება აშშ-ს ნაკრებთან ტრადიციული მატჩის წინ, რომელიც აქვე 2-3 მარტს ჩატარდება, და ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 9-10 მარტს გეტებორგი უმასპინძლებს.

ამ შეჯიბრების პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ჩელიაბინსკელმა თ. კაზანკოვამ, რომელმაც 1500 მეტრზე რბენაში საბჭოთა კავშირში წლევანდელ სეზონში საუკეთესო შედეგით (4.20,5) გაიმარჯვა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. მოშიაშვილმა გულშემატკივრები ისევ გაახარა, როცა 60 მეტრზე თარჯრბენში 7,6 წამი აჩვენა და ჩემპიონობა დაისაკუთრა.

სიგრძეზე ხტომაში მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონს, რუმინელ ვ. ვისკოპოლეანუს, რომელმაც IV ადგილი დაიკავა (610 სმ), ჩემპიონმა, კაუნასელმა მ. ტრეინიტემ 18 სანტიმეტრი მოუგო.

60 მეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებაში მიუნჰენის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონმა, კიეველმა ვ. ბორზოვმა და შარშანდელი მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონმა, რიგელმა ი. სილოვმა მსოფლიო მიღწევა გაიმეორეს — 6,4. გამარჯვება ბორზოვს დარჩა.

სამხტომელთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში კრასნოდარელმა მ. ბარიბანმა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი (16,52 მ) აჩვენა, მაგრამ ფინალური ასპარეზობა მოსკოველმა გ. ბესონოვმა მოიგო — 16,40.

ასევე წლევანდელ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა მოსკოველმა ნ. ილინამ, რომელიც პირველი იყო 400 მეტრზე რბენაში — 54,1.

ჭოკით ხტომაში გამარჯვებისთვის დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს რიგელმა ი. ლაურისმა და ხარკოველმა ე. ტანანაკამ. საბოლოოდ ორივემ 530 სმ სიმაღლე დაძლია, რაც საკავშირო მიღწევაა დარბაზებისთვის. პირველობა ლაურისს დარჩა.

მოსკოველმა ვ. აბრამოვმა სიმაღლეზე ხტომაში 222 სმ დაძლია და მერე 226 სანტიმეტრზე გადებულ თამასას შეუტია. იგი, მართალია, მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ ამჯერად ეს სიმაღლე მაინც ვერ დაიმორჩილა.

ვ. სტოევს ბადალი არ ჰყავდა ბირთვის მკვრელ ვაჟთა შეჯიბრებაში — 19,86. ეს ბულგარეთის ახალი რეკორდია.

საკავშირო ჩემპიონატის საერთო გუნდური ჩათვლა „დინამოს" ნაკრებმა მოიგო. II ადგილი დაიკავეს არმიელმა მძლეოსნებმა, III — „სპარტაკის" კოლექტივმა.

* * *

**სურათზე:** 60 მეტრზე თარჯრბენში ერთ-ერთი გარბენის მომენტი.



# ანტრაქტის წინ

სანქტ-მორიცში დამთავრდა სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ ჩვენი პლანეტის უძლიერეს სპორტსმენებს შეჯიბრებები არ დაუსრულებიათ, ისინი კვლავ გააგრძელებენ მსოფლიო თასებისთვის ბრძოლას.

მსოფლიო თასების გათამაშების მონაწილეებმა სანქტ-მორიცის სტარტამდე ლაუბერჰორნში, გრანდელვალდში, ბადგაშტაინსა და კიცბიულში მორიგი ეტაპების შეჯიბრებებში იასპარეზეს, რის შედეგადაც ლიდერთა რიგებში ერთგვარი გადაადგილება მოხდა.

ლაუბერჰორნში ვაჟებიცა და ქალებიც სწრაფდაშვებაში ასპარეზობდნენ. ამ ეტაპამდე 121 ქულით ლიდერობდა იტალიელი პ. გროსი. ავსტრალიელ ფ. კრამერს 94 ქულა ჰქონდა, ხოლო შვეიცარიელ რ. კოლომბენს — 90. აქ კი კოლომბენი თავის სტიქიაში იყო. მან 1.56,22 აჩვენა და დაძაბულ ბრძოლაში კრამერს ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება — 0,16 წამით აჯობა. III ადგილზე გავიდა იტალიელი ჰ. პლანკი — 1.56,75. კოლომბენი II ადგილზე გავიდა — 115 ქულა. კრამერი III ადგილზე დარჩა — 114.

ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ბადალი არ ჰყავდა ა. პრიოლ-მოზერს (ავსტრია) — 2.08,01, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: მ.-ტ. ნადიგი (შვეიცარია) — 2.10,01, ვ. დრექსელი — 2.10,10, მ. კაზერერი (ორივე — ავსტრია) — 2.11,07, და ცნობილი ფრანგი სპორტსმენი ჟ. რუვიე — 2.11,99.

მეორე დღეს აქვე ვაჟებისთვის ჩატარდა სპეციალური სლალომი, რომელმაც 25 ქულა მოუტანა კ. ნოიროიტერს (გფრ) — 1.32,23. იტალიელმა ფ. რადიჩმა II ადგილი და 20 ქულა მიიღო.

ქალთა მორიგ შეჯიბრებას გრანდელვალდი მასპინძლობდა. ამჯერად პროგრამაში გიგანტური სლალომი იყო. აქ კაზერერმა იმარჯვა. მომდევნო ადგილები ჰ. ვენცელსა (ლიხტენშტაინი) და კ. ცეჰმაისტერს (გფრ) ხვდათ. მაგრამ დიაბიერტში მოწყობილი სპეციალური სლალომის ტრასაზე ცეჰმაისტერს უფრო გაუღიმა ბედმა. თასისთვის ბრძოლაში მან სატურნირო მდგომარეობა იმდენად გაიუმჯობესა, რომ 97 ქულით IV ადგილზე გადაინაცვლა.

ქალებს მსოფლიო პირველობის წინ ბოლო სტარტი ბადგაშტაინში ჰქონდათ, სადაც მოეწყო შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. აქ მოულოდნელი გამარჯვება იზეიმა ფ. სერამ (საფრანგეთი) — 1.20,03. სერას და მისი თანაგუნდელების ბოლო შედეგებმა ცხადყო, რომ ფრანგები, თასების გათამაშების სტარტზე წარუმატებლობის მიუხედავად, უკვე საუკეთესო სპორტულ ფორმაში შევიდნენ და მსოფლიო ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის ძალა შესწევთ. შვეიცარიელი ა.-მ. მორეროდი სერას 0,3 წამით ჩამორჩა. პრიოლს აჯობა რ. მიტერმაიერმაც (გფრ) — 1.20,66. მაგრამ პრიოლისთვის (1.20,96) ლიდერობის კიდევ უფრო განსამტკიცებლად IV ადგილიც საკმარისი აღმოჩნდა. ამ ეტაპის მერე მას 163 ქულა ჰქონდა, ვენცელს — 112. მომდევნო ადგილებზე იყვნენ ნადიგი (103) და ცეჰმაისტერი (97).

კიცბიული, სადაც ვაჟები სპეციალურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა ავსტრიელი სამთომოთხილამურეებისთვის: ჰ. ჰინტერზეერმა პირველობა მოიპოვა და 112 ქულით მერვედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა მსოფლიო თასის სამგზის მფლობელმა, იტალიელმა გ. ტონიმ, აქ მან III ადგილი დაიკავა (ტონის ავსტრიელმა ი. კნივესერმაც აჯობა). მერე კი სწრაფდაშვებაში კიდევ ერთი საპრიზო ადგილი მოიპოვა, 95 ქულა მოაგროვა და მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებაში VI ადგილზე გადაინაცვლა. სწრაფდაშვება ისევ კოლომბენმა მოიგო. იგი 140 ქულით ლიდერობს. II ადგილზეა კრამერი — 122, III — გროსი.

● ჩელიაბინსკი, 15 თებერვალი. აქ დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. ლიდერობს ვოროშილოვგრადის „ისკრა", რომელსაც 10 ქულა აქვს. ერთი ქულით ნაკლები დააგროვეს მოსკოვის ცსკა-მ და ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა.

● სტოკჰოლმი, 15 თებერვალი. საბჭოთა იუნიორთა ნაკრები გუნდის გამარჯვებით დამთავრდა შვეციის დედაქალაქში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. გადამწყვეტ მატჩში სსრ კავშირის წარგზავნილებმა ანგარიშით 6:3 სძლიეს მასპინძლებს.

● მოსკოვი, 15 თებერვალი. დღეს აქ დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული, გფრ-ის მეორე, სსრ კავშირისა და მოსკოვის ნაკრები კოლექტივები. პირველი ტურის შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — გფრ — 22:15 (8:7), მოსკოვი — ჩეხოსლოვაკია — 21:16 (11:6).



# სარეკორდო შედეგებით

კიევი, 15 თებერვალი. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დღევანდელი დღის მატჩები სარეკორდო შედეგებით აღინიშნა.

მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" დაამარცხა „სერპ ი მოლოტი" ანგარიშით 100:82.

კიდევ უფრო დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „სპარტაკმა" ფრუნზეს „სტროიტელთან" შეხვედრაში — 96:48.

სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში მყოფმა სხვა გუნდებმაც დღეს თითო ქულა ჩაიწერეს. მაგალითად, სვერდლოვსკის „ურალმაშმა" დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" 66:52, კიევის „დინამომ" — ალმა-ათის „ბურევესტნიკი" 72:56, ხოლო ტტტ-მ — მოსკოვის „დინამო" 68:55.

ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" მეტად საჭირო ქულა მოიპოვა ვილნიუსის „კიბირკშტისთან" შეხვედრაში — 63:62.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენ.) | 20 | 18 | 2 | 1333—988 | 18 |
| „ურალ." | 20 | 17 | 3 | 1260—1093 | 17 |
| „სპარტაკი" (მ. ოლქი) | 20 | 15 | 5 | 1347—1282 | 15 |
| „დინ." (კ.) | 20 | 13 | 7 | 1331—1243 | 13 |
| ტტტ (რიგა) | 19 | 12 | 7 | 1207—1109 | 12 |
| „დინამო" (მოსკ.) | 20 | 10 | 10 | 1263—1173 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (ალ.-ათა) | 20 | 9 | 11 | 1223—1255 | 9 |
| „კიბირკ." (ვილნ.) | 20 | 9 | 11 | 1202—1238 | 9 |
| „ბურევესტნიკი" (ლენ.) | 20 | 5 | 15 | 1074—1290 | 5 |
| „სპარტაკი" (მოსკ.) | 19 | 4 | 15 | 1031—1154 | 4 |
| „სერპ ი მოლ." (მ.) | 20 | 4 | 16 | 1146—1294 | 4 |
| „სტროიტელი" (ფრ.) | 20 | 3 | 17 | 1125—1423 | 3 |

### მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

## ზამთრის ოლიმპიადა... უთოვლოდ

ალამი დაეშვა, უნგრელ პიონერთა ზამთრის IX ოლიმპიადა დამთავრდა. წლევანდელმა ზამთარმა ბავშვებს სათხილამურო სპორტსა და ციგურაობაში ასპარეზობის საშუალება არ მისცა, ვინაიდან ეს დღეები უთოვლო იყო. და მაინც, ოლიმპიადა ჩატარდა. სარბიელზე გამოვიდა ქვეყნის 19 ოლქისა და ქალაქ ბუდაპეშტის 280 პიონერი და საზოგადოება „პატარა მედროლეების" წევრი. შეჯიბრების პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, ჭიდაობა და ჭადრაკი. გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს პიონერული ოლიმპიადის დახვენითს ზეიმზე, რომელიც ქალაქ ეგერში მოეწყო.

ოლიმპიადის გმირი იყო ბუდაპეშტელი მოსწავლე ტამაშ გაშპარი, რომელმაც მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ყველა მეტოქე დაამარცხა.

(საკდესის კორ.).

ბუდაპეშტი.

## პრეტენდენტთა მატჩები

### პეტროსიანი — პორტიში 2:1

პალმა-დე-მალიორკა. პარასკევს აქ გაიმართა პეტროსიან — პორტიშის მატჩის XII პარტია, რომელშიც თეთრებით უნგრელი დიდოსტატი თამაშობდა.

ხუთი საათის შემდეგ, 41-ე სვლაზე, პარტია გადაიდო. იგი გუშინ გაგრძელდა.

## პატარა ოუენის დიდი გეგმები



მთელ ინგლისში გავრცელდა ლოზუნგი: „თუ გინდა გაკაუდე, იარე ველოსიპედით ან მოტოციკლით".

მოტოციკლის მართვის შესწავლის მსურველებს წვრთნის ერთ დროს სახელგანთქმული მრბოლელი, იფსვიჩელი ო. ნიგრენი. მისი მეთვალყურეობით ვარჯიშობს 5 წლის ოუენიც. იგი ერთობ ფრთხილად იქცეოდა მინი-მოტოციკლის მართვის დროს, ვინაიდან ადრე ველოსიპედიდან ჩამოვარდა და კბილიც დაკარგა. პატარა ოუენს მტვრიან გზებზე სიარული მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ანიჭებს და ამიტომ დიდ ავტოსტრადაზე გასეირნება მოისურვა, მაგრამ ნიგრენმა ბავშვს, რა თქმა უნდა, არ მისცა ამის უფლება.



## ფოკლიდ

● სიდნეი. 1971 წლის შემდეგ ავსტრალიის უძლიერეს ფეხბურთელად მეორედ დაასახელეს ნახევარმცველი მარკონი („ფკ სიდნეი").

● მეხიკო. მექსიკის პროფესიულ კლუბებში დღეისთვის 79 უცხოელი მოთამაშე ირიცხება.

● ვულვერჰემპტონი. „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა" დაამარცხა „ნორვიჩი" ანგარიშით 1:0 და ინგლისის ლიგის თასის გათამაშების ფინალში გავიდა, აქ მისი მეტოქე იქნება „მანჩესტერ სიტისა" და II ლიგის კლუბ „პლიმუტს" შორის გამარჯვებული.

● ბუენოს-აირესი. არგენტინის ნაკრები, როგორც მისმა ახალმა მწვრთნელმა ლ. კაპმა განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატის დროს იცხოვრებს სასტუმრო „ჰოლიდეიში", შტუტგარტიდან 14 კმ-ის დაშორებით. 6 და 10 ივნისს არგენტინელები ორ ბოლო სპარინგ-მატჩს გამართავენ ადგილობრივ სამოყვარულო კლუბებთან.

## ობიექტივში მსოფლიო



ბრიტანეთის წლევანდელი თამაშები ახალი ზელანდიის ქალაქ კრაისტჩერჩში, დედოფალ ელისაბედ მეორის სახელობის პარკში სარეკორდო დროში (130 დღე) აგებულ ახალ სტადიონზე გაიხსნა და აქვე დაიხურა. ამ სტადიონზე 34 000 ადგილია, აქედან 7000 — გადახურული. სტადიონის აგება 5 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა.

სურათზე თქვენ ხედავთ კრაისტჩერჩის ახალ სტადიონს ჯერ კიდევ მშენებლობის დამთავრებამდე. იქვე მარჯვნივ ჩანს დახურული მშენებარე აუზი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, კრივის რესპუბლიკური ფედერაცია, თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლა და „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**მიხეილ ნიკოლოზის ძე ბერიევი**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს. პანაშვიდი 17, 18 თებერვალს 19 საათზე, გამოსვენება 19 თებერვალს 16 საათზე, ა. წერეთლის პროსპექტი № 74, III კორპუსი, II სადარბაზო.

ИНДЕКС 86448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04451.